

**ფერთა გაღერა ქართულში
(მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით)
THE RANGE OF COLOURS IN GEORGIAN
(ACCORDING TO LITERARY WORKS)**

მარინე კუხალაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Marine Kukhalashvili
Akaki Tsereteli state University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Georgian language is rich in colour terms. Apart from the terms denoting seven main colours (red, orange, yellow, green, light blue, dark blue, purple (violet-coloured)), there are words in Georgian that are related to the colour of certain things / phenomena, plants, birds and so on. The article offers the analysis of lexical units attested in the works of the authors of classical Georgian literature (Konstantine Gamsakhurdia, Galaktion Tabidze and others). For example:

Things / phenomena: scarlet, brick-coloured, sand-coloured, sea-blue, earth-coloured, smoke-coloured (smoky-grey), etc.

Metal: golden, silver, iron-coloured, steel-coloured, etc.

Minerals: turquoise, amber-coloured, ruby-red, jet-black, coral-coloured, etc.

Food products: creamy white, tea-coloured, sugar-coloured (buff (colour), wine-coloured, honey-coloured, etc.

Plants: grass colour, leaf colour, colour of durum wheat, wheaten-coloured, etc.

Birds: pheasant-coloured (shimmering blue), dove-coloured, raven-black, quail brown coloured, etc.

Structurally, there is a variety of colour terms:

a) those with a simple stem: red, white, silver(-grey), yellow, green, etc.

b) derived: with a suffix: *cit-ur-i* (red (hair)), *zurmuxt-ovan-i* (emerald (in colour)), *mečam-ul-i* (dark red, purple), etc. with a circumfix: *mo-tetr-o* (whitish), *mo-cispro-o* (a (light) blueish), *ča-rux-o* (greyish), etc.

c) those with a complex stem: *vardis-peri* (rose-coloured, pink), *taplis-peri* (honey-coloured), etc. *kat-kata* (dazzling (white)), *ğağ-ğağa* (with a red sheen/lustre, ruddy), etc. *šav-tetri* (black and white), *šav-qviteli* (dark yellow), etc.

The colour terms created by Georgian prosaists and poets expand and enrich the vocabulary of the Georgian language.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა, ლექსიკოლოგია.

Keywords: Georgian language, colour vocabulary, lexicology.

სამყაროში უთვალავი ფერია. ჩვენი ენა შესაბამისი ტერმინებითაც მდიდარია.

„სიტყვა ოქროს ჰგავს ერთ რამეში, მას სიძველის ჟანგი არ მოედება, თუ ხელმაჯრვე მომხმარებელი ჰყავს“ – ბრძანებდა კონსტანტინე გამსახურდია.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „ფერი – შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს თვალზე საგნის მიერ ანარეკლი სინათლე“. სპექტრში გამოყოფენ შვიდ ფერს: წითელს, წარინჯს, ყვითელს, მწვანეს, ცისფერს, ლურჯს, იისფერს.

ქართული ენა შვიდივე ფერს ასახელებს, მაგრამ ასე არ არის სხვა ენებში. მაგალითად, ფრანგულში, ინგლისურსა და სხვა ენებში სპექტრში ექვს ფერს ასახელებენ, რადგან **ცისფერი** და **ლურჯი** ერთი სიტყვით აღინიშნება. არის ენები, სადაც სპექტრში ორ ან სამ ფერს გამოყოფენ („ცივ“ და „თბილ“ ფერებს). ქართულის მსგავსად რუსულშიც შვიდი ფერი გამოიყოფა. ფერები შეუმჩნევლად გადადიან ერთმანეთში და განსაზღვრულ ადგილსაც იკავებენ. მაგ.: **წარინჯი** ყოვედთვის წითელსა და ყვითელ ფერებს შორის არის მოთავსებული. აერთიანებს ამ ორ ფერს და მათი შერევის შედეგად არის მიღებული.

ქართულში, გარდა აღნიშნული ძირითადი ფერების აღმნიშვნელი ტერმინებისა, გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც დაკავშირებული არაიმე საგნის ან მცენარის, ფრინველის, ცხოველის... ფერთან. საილუსტრაციოდ წარმოვადგინოთ ნიმუშებს ქართველ მწერალთა შემოქმედებიდან:

მცენარეებისას: ვარდისფერი, ქლიავისფერი, თამბაქოსფერი, სუროსფერი, ზადრიჯნისფერი, ენდროსფერი, ბალახისფერი, ფორთოხლისფერი, წაბლისფერი, იისფერი...

ღაინისფერი და **იისფერი** ებრძოდნენ ურთიერთს ცარგვალზე მცირე ხანს. **ენდროსფრად** შეიღებნენ დურაჯისფერი ქულები, ბოლოს **სოსანისფერი** წამლებით შეღება ღრუბლები უჩინარმა არსთა მხატვარმა (გამსახურდია 1976).

ვეფერები დარდიმანდს თელის **ფოთლისფერ** პაწია ყურებზე **ქლიავისფერ** თვალეში შევცქერი (იქვე).

მშვილდი მოზიდა და არწივის ფრთაზე გამართული ქეიბური მკერდში ჰკრა **ჩალისფერ** დათვს (იქვე).

მერმე მოულოდნელად მიაპყრობდა მას თავის დიდრონ **წაბლისფერ** თვალეზს და შეეკითხებოდა (იქვე).

ფრინველებისას: ხობხისფერი, მტრედისფერი, ყორნისფერი, მწყერისფერი, გნოლისფერი...

იისფერნი, მზისფერნი, სინგურისფერნი, ჟრუნნი, მოწითალო, მუქლურჯი სავსებით ლურჯნი, კარაქისფერნი და **ხობხის ყელისფერნი**, ფარშავანგის ბოლოსაებს მოხატული ჰინდური ყვავილები ნაირ-ნაირი (იქვე).

ჰაობი გადალახა, იფნის ძირისაკენ აპირებდა შემობურნებას, ცხვირწინ აუფრინდა მშვენიერი წერო, **დურაჯისფერი** ფრთები ჰქონდა, მიხაკისფერი მკერდი, **მწყრისფერი** ზოლებით მოხატული (იქვე).

მეტალებისას: ოქროსფერი, ვერცხლისფერი, რკინისფერი, ფოლადისფერი, თუჯისფერი.

დილიდანვე ეწვივნენ მეფეს ერისთავნი, სამი ქორი მობრძევეს **ფოლადის ფერი**, შვიდი შავარდენი ლაზიკიდან ჩამოყვანილი (გამსახურდია 1976).

ბორდოხანის მოლარემ აღვირი მოხსნა, ლაგამში ამოსდო **ოქროსფერ ულაყს** (იქვე).

მინერალებისას: ფირუზისფერი, ქარვისფერი, მალაქიტისფერი, ლალისფერი, გიშრისფერი, ლილისფერი, ძოწისფერი...

ღარტაბებში ჩარჩენილ ნამქერს „**ლილისფერი დაედო**“ (გამსახურდია 1976).

ღრუბლებით წაგრავნილი ცარგვალ დამხოზილ სვეტისცხოვლის წვეტიან გუმბათს, კიდე-კიდე **ქარვისფერი** კალთები მოუჩანს ცას, ... და მწვერვალებზე ელავს ხანდახან“ (იქვე).

კვების პროდუქტებისას: რძისფერი, ჩაისფერი, შაქრისფერი, ღვინისფერი, თაფლისფერი, შოკოლადისფერი.

ჭაბუკური იერი გადაჭკრავდა სახეზე, **თაფლისფერ** თვალებიდან სიჭაბუკის ცეცხლი გამოკრთოდა (გამსახურდია 1976).

ლურჯ მწვერვალებს ქარი **რძისფერ** ნისლში ხვევდა (კალანდაძე 1976).

სხვადასხვა საგნებისა და მოვლენებისას: ალისფერი, აგურისფერი, ქვიშისფერი, სანთლისფერი, ზღვისფერი, მიწისფერი, ცარცისფერი, ფერფლისფერი, კვამლისფერი, თოვლისფერი, ნახშირისფერი, სისხლისფერი, ბალოტისფერი, ჟანგრისფერი, ლაჟვარდისფერი, ტყვიისფერი, ხვლიკისფერი, სპილოსძვლისფერი.

შავი მიმინო კარგი დამჭერია, ბატონო, მაგრამ ძნელად საგეშია.

- ჟანგისფერზე რას იტყვი?

- **ჟანგისფერი** ბედოვლათია“ (ვ. გამსახურდია 1976).

ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გეგხარ ზღვას (იქვე).

გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმა და მასთან ერთად გაქრა სევდის ამშლელი **ტყვიისფერი** ღრუბელი (ყაზბეგი 1955).

თუმცა ამ ტაძრისათვის თვალის შევლება ყოველ დროში სანუკველია დილით **ხვლიკისფერი** იგი მოუღალავი მზით გაშუქებული (გამსახურდია 1976).

სამეფო ბაღში ირანული ვარდები გაშლილიყვნენ, სისხლივით წითელნი, ზოგნი ნუშისგულივით თეთრნი, მოყვითალონი, ყვითელი კი არა, ძველთუძველესი **სპილოსძვლისფერისანი**“ (იქვე).

მეფე დინჯად იჯდა ბეშვის უნაგირზე და შესცქეროდა მამამზის **ისრიმისფერ** თვალებს (იქვე).

ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება იყოს:

1. **მარტივფუძიანი**: წითელი, თეთრი, ლეგა, ჟრუნი, ყვითელი, მწვანე.

2. **ნაწარმოები**:

ა) სუფიქსით: წით-ურ-ი, ზურმუხტ-ოვანი, კუპროვანი-ი, ოქრო-ვანი-ი, ლაჟვარდ-იანი-ი, ძოწ-ეულ-ი, მეწამ-ულ-ი.

ბ) პრეფიქსულ-სუფიქსით: მო-თეთრ-ო, მო-ცისფრო-ო, წა-რუხ-ო.

3. **რთულფუძიანი**:

ა) კომპოზიციები, რომელთა პირველი კომპონენტი წარმოადგენს ნათესაობით ბრუნვაში დასმულ არსებით სახელს სრული დაბოლოებით, მეორე კი არის სიტყვა „ფერი“: ვარდის-ფერი, ჟანგის-ფერი, ზურმუხტის-ფერი, თაფლის-ფერი.

ბ) ფუძეგაორკეცებული კომპოზიციები: ქათ-ქათა, ქარ-ქარა, დაჟ-დაჟა...

გ) ტოლადშერწყმული ფუძეების მქონე კომპოზიციები: შავ-ყვითელი, შავ-წითელი, წითელ-შავი, შავ-თეთრი...

გვხვდება ასევე: მოწითალო-მწვანე, მოთეთრო-მოყვითალო, მოვარდისფრო-მოყავისფრო....

გამოიყოფა ორსიტყვიანი ზედსართავებიც: მუქი მწვანე, მუქი ლურჯი, ხასხასა მწვანე, ხაცი ყავისფერი, ღია ცისფერი, ქათქათა თეთრი...

ამავე ჯგუფში გაერთიანდება სიტყვები, რომელთაც ემატება სიტყვა „ფერი“ და კომპოზიტად იქცევიან: სპილოსძვლისფერი, ბროწეულის ყვავილისფერი, კვერცხისფერისფერი.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **მტრედისფერი** განმარტებულია: ღია ლურჯი, მოცისფრო (ცის მუდმივი ეპითეტა). ი. გოგებაშვილი ფერთა შვიდ სპექტრში (წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, მტრედისფერი, იისფერი) „მტრედისფერს“ ასახელებს. მტრედისფერში **ცისფერს** გულისხმობს.

ამჟამად ლიტერატურაში ძირითად ფერებს შორის ასახელებენ **ცისფერს**, როგორც ჩანს, მტრედისფერი არ უნდა იყოს მხოლოდ მოცისფრო, არამედ ის უნდა აღნიშნავდეს ნარევ ფერს, იმიტომ, რომ ლექსიკონებში მოყვანილი ილუსტრაციები სემანტიკურად ზუსტი ეკვივალენტები სტილისტიკური თვალსაზრისითაც შეესატყვისებიან ერთმანეთს. ამრიგად, მტრედისფერი მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად ჩვეულებრივ კონტექსტებში გვხვდება. მაგ.:

ცა **მტრედისფერ** ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი, ისე არის სავსე გრძნობით, ვით რითმებით ეს წერილი (ტაბიძე 1973).

ქართულ ენაში ფერის აღსანიშნავად ეკვივალენტური ფუძეებია გამოყენებული. მაგ.: ნაცრისფერი, ყავისფერი, წაბლისფერი, ალუბლისფერი, შაქრისფერი.

ზაფხულის **ნაცრისფერი** დილა გათენდა, ნაწვიმარი, ნაცივარი (ლეონიძე 1980).

წაბლისფერი ხარი ზმულით მიუყვებოდა მდინარის ნაპირს (იქვე).

ნაცრისფერის ფუძეა ნაცარი, წაბლისფერის – წაბლი... შაქრისფერი იხმარება ადამიანის სახის ფერის გამოსახატავად და მიუთითებს მოთეთრო, ფერმკრთალ ადამიანზე, რომელსაც თმა და თვალწარბი მუქი აქვს.

ზოგჯერ თმის ფერის აღსანიშნავად იყენებენ **ხორბლისფერს**. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ხორბლისფერი** (ხორბლისფერისა) რაც ფერით ხორბალს მოგვაგონებს, შავგვრემანისა და თეთრის საშუალო (კანი) სახე. ქეგლ-ის მიხედვით, ხორბლისფერი ადამიანის თმას კი არ აღნიშნავს, არამედ კანს.

კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ ვკითხულობთ: „**თავთუხისფერი** კულულები გადმოიღვარა ჭიაბერის მაღალ შუბლზე“ (გამსახურდია 1976).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია: **თავთუხ-ი** ხორბლის ერთ-ერთი სახეობაა. აქვს მკვრივი ფხიანი თავთავი და მსხვილი მარცვალი.

ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში **თავთუხი** აღნიშნავს ღია ფერის თმას, რომელსაც **ოქროსფერი** დაჰკრავს. ის მხოლოდ თმის ფერზე მიუთითებს.

ვისაც შემოდგომისას იმერეთის ზღვრებში გაუვლია, აუცილებლად იგრძნობს ბზიკის (კრაზანა) შემაწუხებელ ბზუილს. მას მაშინ შეამჩნევ, როცა მტევანს ხელს შეახებ. მტევნის გარშემო ტრიალებს, ბზუის, თავს ევლება და მოსაწყვეტად არ განებებს. ბზიკისა და მარცვლის ფერები ერთმანეთში ირევა. ბზიკი ზოგჯერ ყვითელია, ზოგჯერ თითქოს ქარვისფერი, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული, განსხვავებული ფერიც გამოიკვეთება ყვითელსა და ქარვისფერზე, რომელიც ამ მწერს გააჩნია.

სიტყვა „**ბზიკისფერი**“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ არის შეტანილი. ეს სიტყვა იმერული დიალექტის კუთვნილებაა, რომელიც მომავალში შეიძლება ქეგლ-ში შევიდეს.

ქართულ მწერლობაში გვხვდება ისეთი სიტყვებიც, რომლებსაც გამაძლიერებელი მნიშვნელობა აქვს და ფერის მეტ ინტენსივობას აღნიშნავს. ქართულში მათი ზუსტი შესატყვისი არ არის. ისინი უფრო აღწერთად გადმოიცემა. მაგ.: ძალიან შავი, მუქი ლურჯი, მუქი მწვანე, ღია ვარდისფერი...

თავზე დაადგნა ტაძრის **მუქლურჯი** ცარგვალი, როლის ქუბებს გალავნის ქონგურების ნაჩრდილები ისე ხატავდნენ, როგორც გიშრისა და იასპის აჟურებს (გამსახურდია 1976).

ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები მდიდარია ფერთა აღმნიშვნელი სიტყვებით, რომლებიც ამრავალფეროვნებენ და ამდიდრებენ ქართული ენის ლექსიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

გამსახურდია 1976: გამსახურდია კ., დიდოსტატის მარჯვენა. თხზულებათა ანტოლოგიური, ტ. IV, თბილისი, 1976.

კალანდაძე 1976: კალანდაძე ა., რჩეული. თბილისი, 1976.

ლეონიძე 1980: ლეონიძე გ., ნატვრის ხე. თბილისი, 1980.

ტაბიძე 1973: ტაბიძე გ., რჩეული, თბილისი, 1973.

ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი, 1954-1964.

ყაზბეგი 1955: ყაზბეგი ალ., ხევისბერი გოჩა. თხზულებები ორ ტომად. თბილისი, 1955.